საქართველოს რაგბის კავშირის
გამგეობის სხდომის

ოქმი

31 მარტი, 2023 წ. | სასტუმრო „მარიოტი თბილისი“

ესწრებოდნენ:
გამგეობის წევრები:

- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- თორნიკე გოგებაშვილი (დაბადებული 16.01.1989 წ; პირადი № 12001014781)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ; პირადი № 01031003677)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ.; პირადი № 12001031106)
- ზვიად თავართქილაძე (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01029001924)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 16.01.1985 წ.; პირადი № 01035000140)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
- გელა ქობულაძე (დაბადებული 30.04.1986 წ.; პირადი № 61006019618)
- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ; პირადი № 01014002287)
- გივი ჭიჭინაძე (დაბადებული 02.07.1959 წ.; პირადი № 01009002077)

სხდომის მომწვევი: დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:

- ნიკა ალავიძე, სრკ-ს პრეზიდენტის მრჩეველი
- ლევან მაისაშვილი, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი
- ილია მაისურაძე, ეროვნული ნაკრების შერკინების მწვრთნელი
- ლადო კილასონია, 20-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი
- შალვა ხაბულიანი, სრკ-ს მაღალი მიღწევების ადმინისტრატორი
- რამა ჩანდი, სრკ-ს განვითარების დირექტორი
- რიჩი დიქსონი, მსოფლიო რაგბის / სრკ-ს სპორტული კომიტეტის თავმჯდომარე
- ლაშა ხურციძე, მსოფლიო რაგბის / სრკ-ს სპორტული კომიტეტის წევრი
- ივანე დავითაშვილი, სრკ-ს პროფესიული კლუბების განვითარების მენეჯერი
- თამარ გიორგობიანი, სრკ-ს კადრების სამსახურის ხელმძღვანელი
- ედუარდ ნაჭყებია, სრკ-ს იურისტი

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შემავალი შემდეგი საკითხები:

1) საქართველოს ეროვნული ნაკრების ანგარიში;
2) საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების ანგარიში;
3) მსოფლიო რაგბის / სრკ-ს სპორტული კომიტეტის პრეზენტაცია;

4) შპს „რაგბის განვითარების ჯგუფში“ (ს/კ 404909827) „ასოციაცია ატუ“-ს (ს/კ 239402491) კუთვნილი 80% წილის საქართველოს რაგბის კავშირსათვის ჩუქება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება სარეგისტრაციო მონაცემებში
5) „ასოციაცია ატუ“-ს კუთვნილი ორი ავტობუსის სრკ-სთვის გრანტის სახით გადმოცემა;
6) ეროვნული ნაკრების მორაგბეებზე კომპენსაციების გაცემის წესის კორექტირება

სხდომამ გადაწყვიტა:

<u>პირველ საკითხად</u>, საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ მოისმინა <u>საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლევან მაისაშვილის ანგარიში</u>, რომელიც მოიცავდა პერიოდს 2022 წლის ზაფხულის ტესტებიდან 2023 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ჩათვლით და მსოფლიო თასის მზადების გეგმას 2023 წლის მაისიდან სექტემბრის პირველი რიცხვების ჩათვლით.
ლევან მაისაშვილმა დეტალურად ისაუბრა ნაკრების მომზადების სტრატეგიებზე, მიმოიხილა მორაგბეების მონიტორინგის და უცხოურ კლუბებთან თანამშრომლობის პრინციპები, აღნიშნა წინსვლა ფიზ.მომზადებისა და სამედიცინო მონიტორინგის დარგში, დადებითად შეაფასა 2022 წლის ზაფხულის და შემოდგომის ძლიერი ტესტ-პროგრამის გავლენა მორაგბეების თავდაჯერებულობასა და პროფესიულ მიდგომაზე, გამოკვეთა სამწვრთნელო შტაბის, მ.შ.უცხოელი მწვრთნელების ფუნქციები და განმარტა, რომელი დარგის სპეციალისტების დახმარება შეიძლება დასჭირდეს ნაკრებს მსოფლიო თასისთვის მზადების ბოლო ეტაპზე (ფეხით თამაში, რაქი).
მიმოხილულ იქნა მსოფლიო თასის წინა შეკრების კალენდარი, რომელიც იწყება მაისის ბოლოდან მინი-შეკრებებით და გადადის რამდენიმეეტაპიან სრულფასოვან შეკრებაში, რომელიც გაიმართება თბილისში, ბაკურიანში ან მარტყოფში და, სავარაუდოდ, ავსტრიაში, სადაც ნაკრებს, გარდა მაღალი დონის სპორტული ინფრასტრუქტურისა, ექნება საშუალება ისარგებლოს სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებით და ფსიქოლოგიური მონიტორინგის მომსახურებით.
დასახელდა 2023 წლის მსოფლიო თასის წინა სპარინგ-მატჩების კალენდარი (12 აგვისტო - საქართველო-რუმინეთი; 19 აგვისტო - საქართველო-აშშ; 26 აგვისტო - შოტლანდია-საქართველო).
გამგეობის წევრებმა ლევან მაისაშვილთან ერთობლივად განიხილეს რიგი პრობლემატური საკითხი, როგორიცაა ჯარიმების მაღალი სიხშირე, დიდი 10-დან და ფრანჩიზა „შავი ლომიდან“ ამოსული მორაგბეების სპორტული კონდიციები, ნაკრების მოსამზადებელი პროგრამისთვის ინფრასტრუქტურისა და რესურსების ხელმისაწვდომობა.
როგორც გამგეობამ, ისე მსოფლიო რაგბის / სრკ-ს სპორტულმა კომიტეტმა ლევან მაისაშვილის და მისი სამწვრთნელო შტაბის მუშაობა შეაფასეს როგორც მეტად ეფექტური და მაღალპროფესიული, ხაზი გაუსვეს თამაშის კომპონენტების ბალანსს, სამწვრთნელო პროცესში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას და

ეფექტურად გამოყენებას, გუნდის კონტროლს და გუნდის დისციპლინის დონის ამაღლებისკენ მიმართულ ზომებს.

<u>მეორე საკითხად</u>, საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ მოისმინა <u>საქართველოს 20-წლამდელთა მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლადო კილასონიას ანგარიში</u>, რომელმაც თავის პრეზენტაციაში ისაუბრა 20-წლამდელთა ნაკრების სპორტულ შედეგებზე და საწვრთნელი პროცესზე. 2016-2022 წლებში მიღწეული სატურნირო სტატისტიკის ანალიზის მეშვეობით, ლადო კილასონიამ მოახდინა სათანადო მომზადების პირობებში ნაკრების სპორტული შედეგების სტაბილურობის დემონსტრირება, ისაუბრა 2023 წლის მსოფლიო თასთან დაკავშირებულ მოლოდინებზე და სამწვრთნელო შტაბის სტრატეგიებზე. მან ასევე მოახსენა გამგეობას 20-წლამდელთა ნაკრების მზადების თავისებურებებზე. აღინიშნა 20-წლამდელთა ნაკრების ეროვნული ნაკრების და შავი ლომის სისტემებთან ინტეგრაცია, რაც უზრუნველყოფს სტაფის ერთიან მიდგომებს და სანაკრებო ვერტიკალზე მოთამაშეთა უფრო იოლად და ეფექტურად ასვლას; სათანადო დონის საერთაშორისო სპარინგ-მატჩების მნიშვნელობა (აქამდე, ნაკრებს 6-8 ხარისხიანი მოსამზადებელი მატჩი ჰქონდა; წელს ტარდება 3 თამაში საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის 20-წლამდელთა ნაკრებების წინააღმდეგ და, შესაძლოა, მართვადი თამაში ავსტრალიის 20-წლამდელთა ნაკრების წინააღმდეგ); შეკრებები, რომლებიც ითვალისწინებს უცხოური და ქართული კლუბების ინტერესებს; მოთამაშეთა მოზდვის წყაროები, ხელმისაწვდომობა და სასელექციო მიდგომები. აღსანიშნავია, რომ წელს 20-წლამდელთა ნაკრებმა აქცენტი გააკეთა ახალგაზრდა ლეგიონერებზე, რაც გამოწვეულია, ერთის მხრივ, საქართველოს ჩემპიონატის შესაბამისი ლიგის არასათანადო ხარისხით და, მეორეს მხრივ, კოვიდ-პანდემიის პერიოდში საერთაშორისო ტურნირებზე სუსტი წვდომით. შესაბამისად, შეიცვალა შეკრებების კალენდარიც, რომელიც წინა წლებთან შედარებით ნაკლებად ინტენსიურია და მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩენილი თვენახევრის განმავლობაში შედის აქტიურ ფაზაში (მთლიანი გუნდის შეკრება).
გამგეობის წევრებმა გაიზიარეს ის მოსაზრება, რომ ლეგიონერების ჭარბობა გავლენას ახდენს საწვრთნელ პროცესზე და გუნდის ინტეგრაციის ხარისხზე და დაეთანხმნენ ლადო კილასონიას იმაში, რომ საქართველოს ჩემპიონატის „ა“ ლიგა ვერ უზრუნველყოფს სათანადო ბაზას მორაგბეების მომზადებისთვის, რაც მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს ქართული რაგბისთვის და ხაზს უსვავს საკლუბო სტრუქტურის გადახედვის საჭიროებას.

<u>შიდა რაგბის მდგომარეობას და კლუბების სტრუქტურის რეფორმას</u> მიეძღვნა მსოფლიო რაგბის / სრკ-ს სპორტული კომიტეტის პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ <u>მესამე საკითხად</u> მოისმინა. მსოფლიო რაგბის / სრკ-ს სპორტული კომიტეტის წევრებმა წარუდგინეს გამგეობის წევრებს თავიანთი ხედვა ქართული რაგბის შესაძლო მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებზე, შეაფასეს არსებული მდგომარეობა, მორაგბეების და

სარაგბო სპეციალისტების განვითარების და წვრთნა-განსწავლის სისტემები და საკლუბო რაგბში არსებული ტენდენციები, შეაფასეს მიმდინარე მდგომარეობის რისკები და შესაძლებლობები, რომლებიც ეხმიანებოდა ეროვნული და 20-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და წარმოადგინეს შიდა რაგბის შემდგომი განვითარების ერთიანი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კლუბების და საქართველოს ჩემპიონატის სიღრმისეულ რეფორმას და ყველა სისტემის ოპტიმიზაციას არსებული პრობლემების (როგორიცაა მორაგბეების რიცხოვნობის კლება, ლეგიონერების შემოდინება, ტურნირების ხარისხის სტაგნაცია, გაუმართავი ბიუჯეტირება, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სირთულეები და ა.შ.) გადაჭრის მიზნით და ქართულ რაგბში არსებული პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებას. დასკვნის სახით, მსოფლიო რაგბის / სრკ-ს სპორტული კომიტეტის წევრებმა მოუწოდეს სრკ-ს გამგეობას საკლუბო რეფორმის პროექტის მხარდაჭერისკენ, ვინაიდან ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შემდგომი წარმატებული განვითარებისთვის.

სრკ-ს პრეზიდენტი დაეთანხმა საკლუბო რეფორმის პროექტის აქტუალობას და მოუწოდა საკლუბო კომიტეტის წევრებს კლუბებთან შემდგომი კომუნიკაციისკენ, პროექტის უკეთ გაცნობისა და მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროექტის მიმართ სრული მხარდაჭერა გამოხატეს გამგეობის წევრებმა მერაბ ანთაძემ და ზვიად თავართქილაძემ. გამგეობის თავმჯდომარემ დავით კაჭარავამ დასძინა, რომ კლუბებისთვის განსაკუთრებულად მომგებიანი იქნება საორგანიზაციო სტრუქტურის ოპტიმიზაცია და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება.

<u>მეოთხე საკითხთან დაკავშირებით</u>, სრკ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“ (ს/კ - 239402491) ჩუქნის, შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“–ს კუთვნილ 80% წილს, ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირს“ (ს/კ - 204874911), რაც მოითხოვს წილის ჩუქების ხელშეკრულების და პარტნიორთა შეთანხმების გაფორმებას, ასევე პარტნიორთა სარეგისტრაციო მონაცემებში და წესდებაში ცვლილებების შეტანას;

გამგეობა ერთხმად მიიიღო გადაწყვეტილება

თანხმობა მიეცეს სრკ-ს პრეზიდენტს იოსებ ტყემალაძეს:

1. გაფორმდეს ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს (ს/კ - 239402491) კუთვნილი, შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“–ს (ს/კ 404909827) 80% წილის, ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირსათვის“ (ს/კ - 204874911) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის (ჩუქების) შესახებ ხელშეკრულება;
2. ზემოაღნიშნული წილის ჩუქებასთან დაკავშირებით გაფორმდეს პარტნიორთა შეთანხმება და განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“–ს (ს/კ 404909827) სარეგისტრაციო მონაცემებში, რომლის შედეგადაც შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“–ს (ს/კ 404909827) 100% წილის

მესაკუთრე ერთადერთ პარტნიორად უნდა დარეგისტრირდეს ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“ (ს/კ - 204874911);
3. დამტკიცდეს სადამფუძნებლო შეთანხმება და შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“–ს (ს/კ 404909827) წესდებაში, რათა ისინი მოყვანილ იქნას კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

<u>მეხუთე საკითხთან დაკავშირებით</u>, რომელიც ეხებოდა <u>„ასოციაცია ატუ“-ს კუთვნილი ორი ავტობუსის სრკ-სთვის გრანტის სახით გადმოცემას,</u> სრკ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა ითხოვა გამგეობის წევრთა თანხმობა, რათა სრკ-მ წარუდგინოს „ასოციაცია ატუ“-ს განაცხადი „ასოციაცია ატუ“-ს კუთვნილი ორი ავტობუსის (*1. HYUNDAI – UNIVERSE, სატრ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი: KMJKL18TP9C002505, ძრავის საიდენტიფიკაციო ნომერი D6CB8165352, სახელმწიფო ნომერი: DR303RD, გამოშვების წელი 2009 წ. შეძენილი - 260 394 (ორასსამოცდათას სამასოთხმოცდათოთხმეტი) ლარად; 2. HYUNDAI – UNIVERSE, სატრ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი: KMJKJ18BP9C902961, ძრავის საიდენტიფიკაციო ნომერი D6AB8160133, სახელმწიფო ნომერი: DR202RD, გამოშვების წელი 2009 წ., შეძენილი 205632 (ორასხუთიათას ექვსასოცდათორმეტი) ლარად*) სრკ-სთვის გრანტის სახით სპორტული (სარაგბო) საქმიანობისთვის, გადმოცემის თაობაზე, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.
გამგეობის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

<u>მეექვსე საკითხთან დაკავშირებით</u>, რომელიც ეხებოდა <u>ეროვნული ნაკრების მორაგბეებზე კომპენსაციების გაცემის წესის შემდგომ კორექტირებას</u>, გამგეობის წევრებს განემარტათ, რომ 2023 წლის 16 თებერვლის საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომის ოქმის დანართი #1-ის (რომელიც ეხება საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეებზე კომპენსაციის გაცემის წესს 2020 წელს ჩატარებულ „შემოდგომის ერთა თასის“ მატჩებზე) 1.4 პუნქტი საჭიროებს რედაქტირებას ვინაიდან 2020 წლის შემოდგომის ერთა თასზე, გამონაკლისის წესით, წარმოდგნელი იყო 35 მოთამაშე. სხდომაზე წარმოდგენილ იქნა 2023 წლის 16 თებერვლის საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომის ოქმის დანართი #1-ის 1.4 პუნქტში შესატანი ცვლილებების და დამატებების შემდეგი რედაქციით:
„1.4. 2020 წლის „შემოდგომის ერთა თასის მატჩებზე“ (სულ 4 (ოთხი) მატჩი) კომპენსაცია გაიცეს არაუმეტეს 35 (ოცდათხუთმეტი) მოთამაშეზე, ხოლო 2023 წელს ჩატარებულ რაგბის ევროპის ჩემპიონატის მატჩებზე (სულ 2 (ორი) მატჩი) კომპენსაცია გაიცეს არაუმეტეს 34 (ოცდათოთხმეტი) მოთამაშეზე“.

გამგეობის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ ცვლილებებსა და დამატებებს.

სხდომის ბოლოს, საქართველოს რაგბის კავშირმა გამგეობის წევრებს აცნობა, რომ კომპანია „ანაგისგან“ მისაღებ ფართებთან დაკავშირებით რაგბის კავშირიდან საჯარო რეესტრში გაიგზავნა წერილი, რათა საკითხის სრულ გარკვევამდე პროცესი იქნას შეჩერებული. აღნიშნული საკითხის უფრო სიღრმისეული განხილვა მოხდება შემდეგ გამგეობის სხდომაზე.

ხელმოწერები

მერაბ ანთაძე _____

თორნიკე გოგებაშვილი _____

მამუკა გორგოძე _____

აკაკი დავითულიანი _____

ზვიად თავართქილაძე _____

დავით კაჭარავა _____

იოსებ ტყემალაძე _____

გრიგოლ ქერაშვილი _____

გელა ქობულაძე _____

ალექსანდრე ხვედელიძე _____

გივი ჭიჭინაძე _____